ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 183

"26" აპრილი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, აბანოს ქუჩა № 17-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.18.03.063.054) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „კანაპესთვის" (საიდენტიფიკაციო №205178635) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, აბანოს ქ. №17-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.063.054) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესთვის" (ს/ნ. 205178635) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 აპრილის №24.633.743 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, აბანოს ქუჩა № 17-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.18.03.063.054) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „კანაპესთვის" (საიდენტიფიკაციო №205178635) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 9300 (ცხრა ათას სამასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე